

<p align="center">"შეთანხმებულია"</p> <p>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი</p> <p align="center">_____</p> <p align="center">“ ___ ” _____ “ 2020 წ.</p>	<p align="center">„ვამტკიცებ“</p> <p>შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტოიოტა ცენტრი თბილისი“-ს დირექტორი</p> <p align="center">_____ ი. გურჩიანი</p> <p align="center">“ ___ ” _____ “ 2020 წ.</p>
--	--

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტოიოტა ცენტრი თბილისი“
ნარჩენების აღდგენის და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის
დროებითი შენახვის ობიექტი**
(ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-20 კმ)

**ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ
გაფრქვევის ნორმების პროექტი**

შემსრულებელი:
შპს „ა.მ კონსალტინგი“

თბილისი 2020

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტს, რომელშიც დეტალურადაა განხილული საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ნაშრომი შესრულებულია “გარემოს დაცვის შესახებ” და “ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ” საქართველოს კანონების და მათგან გამომდინარე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, საწარმოს განვითარების პერსპექტივის, ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობების, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრთა და გაბნევის ანგარიშის გათვალისწინებით, დაბინძურების თითოეული წყაროსა და თითოეული მავნე ნივთიერებისთვის დადგენილია ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკურ დოკუმენტს, რომლითაც დგინდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების განსაზღვრული რაოდენობა იმ პირობით, რომ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენაში არ აღემატებოდეს შესაბამისი მავნე ნივთიერებებისთვის დადგენილ კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები დგინდება 5 წლის ვადით დაბინძურების სტაციონარული წყაროების მაქსიმალური შესაძლო სიმძლავრით დატვირთვის პირობებისთვის.

სარჩევი

	გვერდი
ანოტაცია	1
ძირითად ტერმინთა განმარტებანი	3
1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ	4
2. საწარმოს განლაგების რაიონის კლიმატური დახასიათება	5
2.1. კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები	5
2.2. გარემოს დაბინძურების მდგომარეობა	8
3. ტექნოლოგიურ პროცესთა მოკლე აღწერა	11
3.1. ტექნოლოგიური სქემა და რეგლამენტი	11
3.2. მოთხოვნები ბუნებრივ და ენერგეტიკულ რესურსებზე.	13
4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები	14
5. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში	15
6. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება	21
7. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში, მიღებული შედეგები და ანალიზი	27
7.1. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშისთვის გამოყენებული კომპიუტერული პროგრამა და გაანგარიშების ამონაბეჭდის მოკლე დახასიათება	27
7.2. ელექტროგამომთვლელ მანქანაზე გაბნევის გაანგარიშების შედეგების ანალიზი	28
8. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები	29
9. ზღვ-ს ნორმები ხუთწლიან პერიოდში მთლიანად საწარმოსათვის	31
10. გამოყენებული ლიტერატურა	32
დანართი:	33
- საწარმოს გენ-გეგმის სქემა	34
- საწარმოს განლაგების სიტუაციური რუკა-სქემა	35
- მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მონაცემები	36

ძირითად ტერმინთა განმარტებანი

- ა) "ატმოსფერული ჰაერი" – ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;
- ბ) "მავნე ნივთიერება" – ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;
- გ) "ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურება" – ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში ნებისმიერი ნივთიერების გაფრქვევა, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;
- დ) "მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყარო" – ობიექტი, რომლიდანაც ხდება მავნე ნივთიერებათა გამოყოფა (ტექნოლოგიური დანადგარი, აპარატი და სხვა);
- ე) "მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყარო" – ობიექტი, რომლიდანაც ხდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა (საკვამლე მილი, სავენტილაციო შახტა და სხვა);
- ვ) "დაბინძურების წყარო" – მავნე ნივთიერებათა გამოყოფის ან (და) გაფრქვევის წყარო;
- ზ) "მავნე ნივთიერებათა ორგანიზებული გაფრქვევა" – მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა სპეციალურად გაკეთებული მოწყობილობებიდან (საკვამლე მილი, სავენტილაციო შახტა და სხვა);
- თ) "მავნე ნივთიერებათა არაორგანიზებული გაფრქვევა" – მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა არამიმართული ნაკადის სახით (დანადგარების ჰერმეტიულობის დარღვევის, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ადგილებში გამწოვი დანადგარების არადაამაკმაყოფილებელი მუშაობის და საერთოდ მათი არარსებობის დროს და ა.შ.).
- ი) ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია – ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერების მაქსიმალური კონცენტრაცია დროის გარკვეული გასაშუალებული პერიოდისათვის, რომელიც პერიოდული ზემოქმედებისას ან ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე არ ახდენს მასზე და საერთოდ გარემოზე მავნე ზემოქმედებას.
- კ) საშუალო დღე-ღამური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია – ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერების კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია დღე-ღამის განმავლობაში აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების გასაშუალოებით.
- ლ) მაქსიმალური ერთჯერადი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია – ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერების მაქსიმალური კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია 20-30 წუთიან დროის ინტერვალში ერთჯერადად აღებულ სინჯების კონცენტრაციის მნიშვნელობების მიხედვით.
- მ) "ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმა" –

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევის დადგენილი რაოდენობა, გაანგარიშებული იმ პირობით, რომ დაბინძურების ამ წყაროსა და სხვა წყაროების ერთობლიობიდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენაში არ აღემატებოდეს კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმას;

1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

ზოგადი ცნობები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ტოიოტა ცენტრი თბილისი”-ს ნარჩენების აღდგენის და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის შესახებ მოცემულია ცხრილ 1.1-ში

ცხრილი 1.1.

ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

#	მონაცემთა დასახელება	დოკუმენტის შედგენის მომენტისათვის
1	ობიექტის დასახელება	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ტოიოტა ცენტრი თბილისი”-ს ნარჩენების აღდგენის და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტი
2	ობიექტის მისამართი: ფაქტიური: იურიდიული:	ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-20 კმ-ზე, 01.72.14.034.972 საქართველო, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლისხეივანი, მე-20 კმ
3	საიდენტიფიკაციო კოდი	211346220
4	GPS კოორდინატები	1. X -480646.00; Y – 4625015.00;
5	ობიექტის ხელმძღვანელი: გვარი, სახელი ტელეფონები: ელ. ფოსტა:	ირაკლი გურჩიანი ტელ: ელ. ფოსტა: igurchiani@toyota-tbilisi.com
	მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე:	10 მ.
7	ეკონომიკური საქმიანობა:	ავტომობილების ტექნიკური მომსახურება
8	გამოშვებული პროდუქციის სახეობა	-
9	საპროექტო წარმადობა:	-
10	მოხმარებული ნედლეულის სახეობები და რაოდენობები:	1.560 ტ/წელა ლაქ-საღებავი; 0.494 ტ/წელ გამხსნელი;
11	მოხმარებული საწვავის სახეობები და რაოდენობები:	43.2 მ ³ ავტომობილების ნამუშევარი ზეთი
12	სამუშაო საათების რაოდენობა წელიწადში	8760 საათი
13	სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	24 საათი

2. საწარმოს განლაგების რაიონის კლიმატური დახასიათება

2.1. კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები

საქართველო გამოირჩევა თავის მეტეოკლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობების მრავალფეროვნებით. ამ მრავალფეროვნების დასახასიათებლად და სათანადო სამეცნიერო თუ პრაქტიკული საწარმო-საზოგადოებრივი საქმიანობის უზრუნველსაყოფად, ქვეყანაში ფუნქციონირებს რეგულარული ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების სახელმწიფო ქსელი. მრავალწლიანი (ზოგიერთი სადგურისათვის - საუკუნოვანი) დაკვირვებების მონაცემების დამუშავების ბაზაზე დადგენილია საქართველოს, როგორც მთლიანი ქვეყნის, ასევე მისი რეგიონების, ცალკეული დასახლებული რაიონების და მსხვილი ქალაქების კლიმატური მახასიათებლები. აღსანიშნავია, რომ მის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს გააჩნიათ კლიმატის ფორმირების გამოკვეთილად განსხვავებული ფიზიკურ-გეოგრაფიული და ატმოსფერული ცირკულაციის თავისებურებები. ამ რეგიონებში მიმდინარე ლოკალურ ანთროპოგენურ პროცესებს შეუძლიათ გავლენა იქონიონ მხოლოდ შეზღუდული მასშტაბით. აქედან გამომდინარე, საწარმო ობიექტის საქმიანობასთან დაკავშირებით ზოგადად განიხილება - აღმოსავლეთ საქართველოს, ქვემო ქართლის ვაკის, სამგორის ველის, აგრეთვე იორის ზეგანის ნაწილის - სამგორის რაიონის დახასიათება.

განხილულ ტერიტორიაზე განლაგებულია ისეთი მსხვილი ინდუსტიული ცენტრები, როგორცაა ქალაქები თბილისი, რუსთავი და ანი. ეს ინდუსტიული ცენტრები ერთმანეთის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოსაზღვრე ქალაქებს წარმოადგენენ და შესაბამისი მიმართულებებით ატმოსფერული მასების გადაადგილების შემთხვევებში, რაც გაბატონებულ მოვლენას განეკუთვნება, მათი ურთიერთგავლენა მეტად მნიშვნელოვანია.

კლიმატი ამ მიკრორეგიონში არის ზომიერად მშრალი, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით, მთლიანად კი რაიონის კლიმატი მშრალი სუბტროპიკული ტიპისაა. რაიონის მიკროკლიმატის ტემპერატურული რეჟიმი საკმაოდ კონტრასტულია. აქ თოვლის საფარი არამდგრადია. დამახასიათებელია ჰაერის დაბინძურების საშუალო მეტეოროლოგიური პოტენციალი.

საწარმო განთავსებულია თბილისში და მისი განთავსების მიკრორეგიონის კლიმატური პირობების მოკლე დახასიათება იგივეა, რაც მთლიანად რაიონისათვის. ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში და დიაგრამებზე წარმოდგენილია ატმოსფერულ ჰაერში ნივთიერებათა გაბნევის განმსაზღვრელი კლიმატის მახასიათებელი ტემპერატურული და ქართა მიმართულებებისა და მათი განმეორადობების აღმწერი პარამეტრების მნიშვნელობები ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის გასაანგარიშებლად, ასევე საჭირო, სხვა პარამეტრთა მნიშვნელობებთან ერთად.

ტემპერატურული რეჟიმი

თბილისსა და მის მიდამოებში ყველაზე ცივი თვეა იანვარი, რომლის საშუალო ტემპერატურა განაშენიანებულ ტერიტორიაზე 0.3°C -დან 0.9°C -მდეა, შემოგარენში კი, ტერიტორიის სიმაღლის გამო ამ თვის ტემპერატურა მნიშვნელოვნად ეცემა და უარყოფითი ხდება. ზაფხულში ქალაქის უმეტეს ტერიტორიაზე ტემპერატურა 24°C-ს აღემატება. თბილისის განაშენიანებულ ტერიტორიაზე ყველაზე ცხელი თვე ივლისი, შემოგარენში უფრო ცხელი თვეა აგვისტო. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა თბილისსა და მის მიდამოებში 7.4°C დან 12.7°C -მდეა. თბილისის განაშენიანებულ ტერიტორიაზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მაღალია (დიღომი - 12.1°C, თბილისი ობსერვატორია - 12.7°C), ხოლო შემოგარენში, რელიეფის მთაგორიანობის გამო თანდათან კლებულობს და კოჯორში ის 7.4°C-ის ფარგლებშია.

ცხრილი 9-ში მოცემულია კლიმატური მახასიათებლების 2014 წლის 15 იანვარს საქართველოს მთავრობის #71 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების შესახებ“-ის თანახმად.

ცხრილი 2.1

ძირითადი კლიმატური და რეჟიმულ-მეტეოროლოგიური პარამეტრების მნიშვნელობები

№/2	კლიმატური პარამეტრი	თვე												წელი
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
1	საშუალო ტემპერატურა (°C)	0.9	2.6	6.6	11.9	17.3	21.1	24.4	24.2	19.6	13.8	7.6	2.6	12.7
2	მინიმალურ ტემპერატურათა საშუალო (°C)	-2.4	-1.0	2.1	7.1	12.1	15.7	18.9	18.7	14.7	9.3	3.9	-0.5	8.2
3	აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა (°C)	-23	-14	-13	-4	1	7	9	9	1	-5	-7	-19	-23
4	მაქსიმალურ ტემპერატურათა საშუალო (°C)	5.5	7.2	11.9	17.6	23.2	27.2	30.6	30.8	25.8	19.8	12.6	7.4	18.3
5	აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა (°C)	18	22	29	32	35	38	40	40	38	33	27	22	40
6	წალექების ჯამის საშუალო (მმ)	19	27	36	57	93	78	52	39	46	46	40	26	559
7	ქარის საშუალო სიჩქარეები მ/წმ	2.2	2.7	2.8	2.8	2.5	2.5	2.8	2.3	2.1	2.0	1.7	1.8	2.4

ქარის რეჟიმი


თბილისსა და მიდამოების დაბალ ზონებში ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 2.4 მ/წმ უდრის. უფრო ძლიერი ქარები იცის გაზაფხულზე – მარტსა და აპრილში (2.8 მ/წმ), შედარებით სუსტი – შემოდგომა-ზამთარში (1.7-2.0 მ/წმ). ხოლო ქარის მაქსიმალური სიჩქარე დაიკვირება მარტში (20 მ/წმ).

ქარის სხვადასხვა მიმართულებებისა და შტილის განმეორადობა მოცემულია ცხრილ 2,2-ში და ნახაზ 1-ზე.

ცხრილი 2,2

ქარის სხვადასხვა მიმართულებების განმეორადობა ქ. თბილისისათვის

ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
26	3	4	25	8	2	4	28	33



ნახ. 1 ქარის მიმართულებების განმეორადობა (პროცენტებში)

ნალექები

ქალაქ თბილისში საშუალო წლიური ნალექების ჯამი 555 მმ-დან 608 მმ-დე მერყეობს. ნალექების მთავარი მაქსიმუმი მაისშია (78მმ-დან 149 მმ.დე). ყველაზე მშრალი თვე იანვარია, როცა ნალექების რაოდენობა 19-39 მმ-ის ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება ნალექების სეზონურ განაწილებას, ამ მხრივ დამახასიათებელია შედარებით უხუნალექიანობა წლის თბილ პერიოდში (აპრილი-ოქტომბერი,

279მმ) და მცირენალექიანობა წლის ცივ პერიოდში (ნოემბერი-მარტი, 103მმ).

2.2. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მდგომარეობა

საქართველოს მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრებში, სხვადასხვა პერიოდებში ფუნქციონირებდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე რეგულარულ დაკვირვებათა ქსელის საგუშაგოები (პოსტები) და მათზე წარმოებდა რიგი მავნე ნივთიერებების ატმოსფერული კონცენტრაციების ყოველდღიური სამჯერადი გაზომვა, ხოლო იმ დასახლებული პუნქტებისათვის, სადაც აღნიშნული მიმართულებით გაზომვები არ ტარდებოდა, დაბინძურების შესაბამისი მონაცემების დადგენა ხორციელდებოდა მოსახლეობის რაოდენობაზე დაყრდნობის საფუძველზე, ქვეყანაში მიღებული მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შეიზღუდა სრულყოფილი დაკვირვებების წარმოების შესაძლებლობა. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანაში საგრძნობლად დაეცა ადგილობრივი სამრეწველო პოტენციალი და შესაბამისად, ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების ჯამური მახასიათებლების მნიშვნელობებიც. აქედან გამომდინარე, გარკვეულწილად, მიზანშეწონილია ადრინდელი რეკომენდაციებით განსაზღვრული მონაცემებით სარგებლობა, გარემოს პოტენციური დაბინძურების მახასიათებლების დასადგენად – დასახლებული პუნქტის ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობის განვითარების პერსპექტივით, იმაზე გაანგარიშებით, რომ რეალურად შესაძლებელია ადრინდელი პერიოდისათვის უკვე მიღწეული გარემოს დაბინძურების მაჩვენებლების მიღება – შეჩერებული ან უმოქმედო საწარმოო პოტენციალის სრული ამოქმედების შემთხვევისათვის.

ჰაერის დაბინძურებაზე გავლენის მქონე მეტეოპარამეტრებისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილ 2.3-ში.

აღსანიშნავია, რომ მავნე ნივთიერებების საშუალო კონცენტრაციების მნიშვნელობებთან ერთად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონის დახასიათების მიზნით გამოიყენება კონკრეტული ადგილმდებარეობის ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების ფონური კონცენტრაციები – დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციათა ის მაქსიმალური მნიშვნელობები, რომელზე გადამეტებათა დაკვირვებების რაოდენობა არის მრავალწლიანი(არანაკლებ 5 წლის პერიოდის) რეგულარული დაკვირვებების მთლიანი რაოდენობის 5%-ის ფარგლებში. ფონური კონცენტრაციების მნიშვნელობები განისაზღვრება ცალ-ცალკე შტილისათვის(ქარის სიჩქარის მნიშვნელობა დიაპაზონში 0-2მ/წმ, რომელიც ხასიათდება დაბინძურების ერთ-ერთი ყველაზე არასასურველი ეფექტით) და ქარის სხვადასხვა გაბატონებული მიმართულებებისათვის. სამწუხაროდ, ყველა დასახლებულ ტერიტორიებზე არ ხერხდება სრულფასოვანი რეგულარული დაკვირვებების ორგანიზაცია და შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონის ფაქტობრივი მნიშვნელობების განსაზღვრა. იმის გამო, რომ როგორც წესი, შედარებით პატარა ქალაქებში და მცირემოსახლეობიან დასახლებულ პუნქტებში ატმოსფერული ჰაერის

დაბინძურებაზე დაკვირვებები პრაქტიკულად არ ტარდება. ასეთი ტერიტორიებისათვის, მავნე ნივთიერებებით ადგილმდებარეობის ატმოსფერული ჰაერის ფონური დაბინძურების მახასიათებლების დადგენა ხდება ქვეყანაში მიღებული წესით, რომელიც ეფუძნება დასახლებულ ტერიტორიაზე მოსახლეობის საერთო რაოდენობის მაჩვენებელს და ითვალისწინებს იმ ზოგად საწარმოო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ინფრასტრუქტურას, რომლის ფუნქციონირებაც მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია შესაბამისი დასახლებებისათვის (ცხრილი 2.4).

ცხრილი 2.3.

ატმოსფეროში დამაბინძურებელი ნივთიერებების გაბნევის პირობების გამსაზღვრელი მეტეოროლოგიური მახასიათებლები და კოეფიციენტები

მახასიათებლების დასახელება	მახასიათებლის მნიშვნელობა
ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატეფიკაციის კოეფიციენტი	200
რელიეფის კოეფიციენტი	1,0
წლის ყველაზე ცხელი თვისას ჰაერის საშუალო ტემპერატურა	22.6
წლის ყველაზე ცივი თვისას ჰაერის საშუალო ტემპერატურა	4.8
საშუალო ქართა ვარდის მდგენელები, %	
ჩრდილოეთი	2
ჩრდილო-აღმოსავლეთი	23
აღმოსავლეთი	13
სამხრეთ-აღმოსავლეთი	8
სამხრეთი	7
სამხრეთ-დასავლეთი	30
დასავლეთი	11
ჩრდილო-დასავლეთი	6
შტელი	20
ქარის სიჩქარე (მრავალწლიურ დაკვირვებათა გასაშუალოებით), რომლის გადაჭარბების განმეორადობაა 5%, მ/წმ	6.3

დაგეგმილი საწარმოო საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, კონკრეტულ საწარმოო მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული ობიექტისათვის, გარემოში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის (ატმოსფეროში გამოფრქვევის) ზღვრულად დასაშვები ნორმატივების(შესაბამისად – ზდგ) პროექტების დამუშავება საშუალებას იძლევა დაბინძურების ყოველი კონკრეტული წყაროსათვის დადგინდეს მავნე ნივთიერებათა ემისიის რაოდენობა და ინტენსიობა. დაგეგმილი საქმიანობის საწარმოო ციკლის შესაბამისად, საჭიროა შეფასებული იქნას საქმიანობის ობიექტისაგან მავნე ნივთიერებათა ატმოსფერულ ჰაერში გამოფრქვევა.

ფონური კონცენტრაციებისათვის დადგენილი მნიშვნელობები დასახლებული ტერიტორიებისათვის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით

მოსახლეობის რიცხვი (ათასი მოსახლე)	მავნე ნივთიერება			
	მტვერი	გოგირდის დიოქსიდი	აზოტის დიოქსიდი	ნახშირჟანგი
1	2	3	4	5
ნაკლები 10-ზე	0	0	0	0
10-50	0.1	0.02	0.008	0.4
50-125	0.15	0.05	0.015	0.8
125-250	0,2	0.05	0.03	1.5

გამომდინარე აღნიშნულიდან, საკვლევი ტერიტორიის ატმოსფერული ჰაერის ფონური დაბინძურების შეფასებისათვის, საჭიროა გამოყენებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილების (ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე) მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციები.

რადგან უახლოესი დასახლებული პუნქტი ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებებით დაცილებულია ობიექტის შესაბამისად 10 მეტრით, ამიტომ გაანგარიშებული ემისიების შესაბამისად, ჰაერის ხარისხის მოდელირება [8] შესრულდება ობიექტის წყაროებიდან უახლოესი მოსახლის ნორმირებული ზონის საკონტროლო წერტილების მიმართ.

ფონური დაბინძურების მაჩვენებლების მეთოდისა გათვალისწინებულია იმ ტერიტორიების ატმოსფერული ჰაერის ფონური მდგომარეობის შეფასებისათვის, რომელთათვისაც არ არსებობს დაკვირვების მონაცემები. მეთოდის მიხედვით ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასება ხდება დასახლებული პუნქტის მოსახლეობის რიცხოვნების მიხედვით (ცხრილი 2.2.).

ფონურ მაჩვენებლად აღებული უნდა იყოს ცხრილი 2.4-ის 125-250 ათასი მოსახლეობის მაჩვენებლები.

3. ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება

3.1 ტექნოლოგიური სქემა და რეგლამენტი

შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისის“ საწარმოო ობიექტში გათბობის მიზნით განთავსებულია ამერიკული წარმოების „CLEAR BURN“-ის მოდელის წყალგამათბობელი დანადგარები, რომლებიც, მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად მუშაობენ როგორც მონაცვლეობით, ასევე ერთდროულად. თითოეული დანადგარი დღე-ღამეში მოიხმარს არაუმეტეს 120 ლიტრ საწვავს, ანუ $120 \times 0.9 = 108$ კილოგრამს.

საპასპორტო მონაცემების თანახმად „CLEAR BURN“-ის მოდელის წყალგამათბობელი დანადგარი რეკომენდირებულია კომერციული ან საწარმოო ობიექტებისთვის და მასში შესაძლებელია საწვავად გამოყენებული იქნეს ნებისმიერი დიზელის საწვავი; ავტომობილების ნამუშავეარი ზეთები; ნამუშავეარი ტრანსმისიური სითხეები და ნებისმიერი ტიპის ჰიდრავლიკური ზეთები.

დანადგარი შედგება:

1. ღუმელის კორპუსისგან;
2. საწვავის (ზეთის) მადოზირებელი ტუმბოსგან და მასზე დამონტაჟებული მექანიკური საწვავის (ზეთის) ფილტრისგან;
3. ელექტროკონტაქტიანი მანომეტრისგან;
4. ელექტრო ავტომატური თერმომეტრებისგან;
5. სანთურისგან რომელიც აღჭურვილია შემრევი ბლოკისგან, ჰაერისა (1.5 ატმ.) და საწვავის (ზეთის) ელექტრო სარქველებისგან, აგრეთვე საწვავის (ზეთის) გამაცხელებელი ტენით (50–60 გრადუსი);
6. სანთურაში ჩამონტაჟებული ჰაერის ტურბო შებერვის ელექტრო მოწყობილობისგან;
7. სპეციალური საწვავი ფრქვევანასგან, რომელშიც ჩამონტაჟებულია გამაცხელებელი „ტენი“ (75–80 გრადუსი) და ჰაერის (1.5 ატმ) შემრევი(სრული წვისთვის);
8. ელექტრონულ–ტრანზიტორული მართვის ბლოკისგან, რომელზეც მიერთებულია ფრქვევანაზე დამონტაჟებული ფოტოელემენტი, რაც უზრუნველყოფს დანადგარის გამართულ მუშაობას. პარამეტრების დარღვევის ან რაიმე შეფერხების (საწვავის მიწოდების შეწყვეტის, ჰაერის და საცირკულაციო წყლის მიწოდების შეწყვეტის, კვამლიანობის და სხვა) შემთხვევაში, თიშავს დანადგარს და ინთება ავარიული წითელი ნათურა;
9. წვის კამერისგან, რომელშიც ჩამონტაჟებულია სპეციალური ლაბირინთული ჯიბეების ნამწვის მყარი სხეულების ატმოსფეროში გამოფრქვევის აცილების მიზნით;
10. საცირკულაციო წყლის ტუმბოსგან;
11. წყლის შემავალი და გამომავალი ურდულებისა და უკუ სარქველისგან;

12. წყლის ჭარბის წნევის დამცავი საქრველისგან;
13. ელექტრო ავტომატური მართვის პანელებისგან;
14. კვამლგამწოვი 450 მმ–იანი მილისგან;
15. კომპონენტებისგან, რომელიც მოიცავს ზეთის (საწვავი) მიწოდების ქსელისა და ჰერის (1.5 ატმ) მისაწოდებლად საჭირო მილების ქსელისგან.

Clean-out door - გასაწმენდი კარი

Combustion chamber - წვის კამერა

Furnace flue – ღუმელის კვამლგამწოვი

Clean-out breach – საწმენდი მილი

Clean-out cap - საწმენდი მილის სახურავი

ობიექტზე, ავტომობილების ტექნიკური მომსახურების ეტაპზე დაგროვილი ნამუშევარი ზეთის შესაგროვებლად, ეზოში განთავსებულია 1 კუბ.მ. მოცულობის რეზერვუარი, რომელიც მოთავსებულია ქვიშის ადსორბენტზე. თავდაპირველად, სწორედ აღნიშნულ რეზერვუარში გროვდება ობიექტზე წარმოქმნილი ნამუშევარი ზეთი, საიდანაც, დაგროვების შესაბამისად, ტუმბოს საშუალებით ხდება მისი გადატუმბვა დახურულ შენობაში განთავსებულ 50 კუბ.მ. მოცულობის რეზერვუარში.

50 კუბ.მ. მოცულობის რეზერვუარი ტექნოლოგიური მილსადენების საშუალებით მიერთებულია ობიექტზე განთავსებულ გამათბობელ დანადგარების ავზთან.

გამათბობელ დანადგარებში საწვავის მიწოდება (ნამუშევარი ზეთი) წარმოებს ტუმბოების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილია მექანიკური ფილტრებით. აღნიშნული ფილტრები უზრუნველყოფს საწვავის გაწმენდას მყარი მინარევებისგან, რაც ნამწვ აირებში მინიმუმამდე ამცირებს მყარი ნაწილაკების ემისიებს.

ტუმბოებში დამონტაჟებული მექანიკური ფილტრები ექვემდებარება პერიოდულ გაწმენდას. ფილტრების გასაწმენდად გამოიყენება ობიექტზე ნარჩენის სახით წარმოქმნილი ნავთობპროდუქტები, რომლებიც ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში (საწვავის რეზერვუარში).

პერიოდულად გაწმენდას ექვემდებარება ასევე სანთურებში ჩამონტაჟებული საწვავის ფილტრის ბადეები და გამათბობელი სისტემები, სადაც ადგილი აქვს ნაცრის დაგროვებას. გამათბობელ დანადგარებში წარმოქმნილი მცირე რაოდენობის ნაცარი გროვდება ნარჩენებისთვის განკუთვნილ შენობა-ნაგებობაში და შემდგომი მართვის მიზნით, ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა შესაბამის კონტრაქტორს.

ობიექტზე განთავსებულ გამათბობელ დანადგარებში წარმოქმნილი ნამწვი აირები ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა მიწისპირიდან 8 მეტრი სიმაღლის და 450 მმ დიამეტრის მილების საშუალებით.

დანადგარები აღჭურვილია ავარიული შეტყობინების სისტემით და გაუმართაობის შემთხვევაში

ითიშება ავტომატურად. დანადგარებს სეზონურად, ექსპლუატაციაში გამშვებამდე უტარდებათ ტექნიკური დათვალიერება.

საწარმოში ასევე ფუნქციონირებს ავტომობილების სამღებრო-საშრობი ბოქსი.

ავტომობილების ლაქ-საღებავებით შეღებვის ბოქსში ხორციელდება უკვე ავტომობილებზე სათუნუქე სამუშაოების ჩატარების და შესაღებად მომზადების შემდეგ მათი შეღებვა ლაქ-საღებავებით და შრობა. აღნიშნული სამუშაოების ჩატარებისათვის დღეში (8 საათი) გამოიყენება 6 კგ საღებავი და ლაქი და 1.9 კგ მათი გამხსნელები, ანუ წელიწადში სულ გამოყენებული იქნება 1.560 ტონა ლაქ-საღებავი და 0.494 ტონა გამხსნელი.

შეღებვის ბოქსიდან ავტომობილების შეღებვისას და შრობისას გამოყოფილი მავნე ნივთიერებები ატმოსფეროში გაიფრქვევა გამწოვი ვენტილაციით, რომლის სიმძლავრე 8000 მ³/სთ-ში, რომელიც გაივლის საღებავის აეროზოლების ფილტრში, რომლის ეფექტურობა ტოლია არანაკლებ 98 %-ის და შემდგომ გაიფრქვევა ატმოსფეროში მილით, რომლის სიმაღლეა მიწისპირიდან 8 მეტრი და დიამეტრი 0.8 მ. ხაზობრივი სიჩქარით 4.42 მ/წმ.

3.2. მოთხოვნები ბუნებრივ და ენერგეტიკულ რესურსებზე

საწარმო წელიწადში (ზამთრის სეზონში 6 თვე) ნედლეულის სახით მოიხმარს 43.2 მ³ ანუ 38.88 ტონა მეორად ზეთს საქვავეში საწვავის სახით, 1.560 ტ/წელ ლაქ-საღებავს და 0.494 ტ/წელ გამხსნელს.

დაგეგმილი საქმიანობის უზრუნველყოფა სანედლეულ რესურსებით, ელექტროენერგიით, წყალსადენით, კავშირგაბმულობის საშუალებით – ხორციელდება არსებული სამომხმარებლო ქსელებიდან, საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სქემის გათვალისწინებით.

4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები

ცხრილ-4.1-ში მოცემულია საწარმოში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების კოდი, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მნიშვნელობები, გაფრქვევის სიმძლავრეები და საშიშროების კლასი.

ცხრილი 4.1.

მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

№	მავნე ნივთიერების დასახელება	კოდი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია(ზღვ) მგ/მ ³		საშიშროების კლასი
			მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
1	2	3	4	5	8
1	ჭკბალი	328	0.15	0.05	3
2	აზოტის ორჟანგი, NO ₂	301	0.2	0.040	2
3	ნახშირჟანგი, CO	337	5.00	3.00	4
4	გოგირდის ოქსიდები, SO _x	330	0.35	0.05	3
5	ქლორწყალბადი, HCl	316	0.2	0.1	2
6	ტყვია, Pb	0184	0.001	0.0003	1
7	კადმიუმი, Cd	0255	-	0.0003	1
8	დარიშხანი, As	325	-	0.0003	2
9	ქრომი, Cr	203	-	0.0015	1
10	ნიკელი, Ni	163	-	0.001	2
11	ნახშირწყალბადები	2754	1.0	-	4
12	ქსილოლი	616	0.2	-	3
13	ეთილის სპირტი	1061	5.0	-	4
14	ეთილაცეტატი	1213	0.15	-	4
15	უაიტ-სპირტი	2752		1.0	3

აღნიშნული მახასიათებლების – საწარმოს ფუნქციონირების მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგენილი – გარემოს უმთავრესი დამაბინძურებელი წყაროებია:

- ა) მეორადი ზეთების 18 მ³ მოცულობის ვერტიკალური რეზერვუარი (გ-1 გაფრქვევის წყარო);
- ბ). CLEAR BURN"-ის მოდელის წყალგამათბობელი დანადგარები (გ-2, გ-3 გაფრქვევის წყარო);
- გ). ავტომობილების ლაქ-საღებავებით შეღებვისა და შრობის ბოქსის გამწოვი მილი - გ-4 გაფრქვევის წყარო;

5. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში

საწარმოდან გაფრქვეული ჰაერის ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია: ჭვარტლი, ნახშირწყალბადები, აზოტის ორჟანგი, ნახშირორჟანგი, გოგირდის ორჟანგი, ქლორწყალბადი, ტყვია, კადმიუმი, დარიშხანი, ქლორი, ნიკელი, ქსილოლი, ეთილის სპირტი, ეთილაცეტატი და უაიტ-სპირტი. ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის საანგარიშო მეთოდების და საწარმოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

რეზერვუარებიდან ნავთობპროდუქტების ორთქლის გაფრქვევის ანგარიში

რეზერვუარებიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ორთქლის გაფრქვევის გასაანგარიშებლად გამოიყენება შემდეგი ფორმულები:

$$M = Y_1 \times K^{max} \times Q^{max} / 3600 \quad (5.1)$$

$$G = (Y_2 \times B \times Y_3 \times B) \times K^{max} \times 10^{-6} + G \times K \times N \quad (5.2)$$

ფორმულებში (5.1 - 5.2) გამოყენებულია შემდეგი აღნიშვნები:

M – მავნე ნივთიერებათა ატმოსფეროში გაფრქვევის მაქსიმალური სიმძლავრეა, გ/წმ;

G – მავნე ნივთიერებათა ატმოსფეროში გაფრქვევის წლიური რაოდენობა მ³/წელ.

Y₁ – რეზერვუარში ნავთობპროდუქტების ორთქლის კონცენტრაცია, გ/მ³ და აიღება მე-5.1 ცხრილის მე-2 სვეტის მიხედვით;

K^{max}- ცდით მიღებული კოეფიციენტია და მიწისზედა რეზერვუარებისათვის არ არის დამოკიდებული ნავთობპროდუქტების კატეგორიასა და რეზერვუარების მოცულობაზე და უდრის 1-ს;

Q^{max}- რეზერვუარებიდან გამოდენილი აირნარევის მაქსიმალური მოცულობა ერთ საათში, მ³/სთ.;

Y₁ და Y₂ – რეზერვუარებიდან საშუალო ხვედრითი გაფრქვევებია. შესაბამისად შემოდგომა-ზამთრისა და გაზაფხული-ზაფხულის პერიოდებისათვის და აიღება მე-5.1 ცხრილის მე-3 და მე-4 სვეტების მიხედვით;

G – ერთი რეზერვუარიდან ნავთობპროდუქტების გაფრქვევის მნიშვნელობაა მათი შენახვის დროს, ტ/წელ;

K- საცდელი კოეფიციენტია და მიიღება მე-5.1 ცხრილის მე-5 სვეტის მიხედვით;

N -ერთი დანიშნულების რეზერვუარების რაოდენობაა ცალებში.

ცხრილ 5.1-ში მოცემულია ხვედრითი გაფრქვევის (Y₁, Y₂) და საცდელი კოეფიციენტის (K_i) მნიშვნელობები რაც საჭიროა ფორმულების (5.1 – 5.2) საშუალებით M და G –ს გასათვლელად სხვადასხვა სახის ნავთობპროდუქტებისათვის.

ცხრილი 5.1.

ნავთობპროდუქტების დასახელება	Y ₁ , გ/მ ³	Y ₂ , გ/მ ³	Y ₃ , გ/მ ³	K _i	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
საავტომობილო ზეთი	0.39	0.25	0.25	0.00027	

წლის დროთა მიხედვით რეზერვუარებში ჩატვირთული ნავთობპროდუქტების რაოდენობები (მ³) მოცემულია ცხრილ 5.2-ში.

ცხრილი 5.2.

1/2	ნავთობპროდუქტების დასახელება	შემოდგომა- ზამთარი	გაზაფხული- ზაფხული	სულ:
1	2	3	4	5
1	საავტომობილო ზეთი	21.6	21.6	43.2

ა). გაფრქვევები ნახმარი ზეთების მიღების რეზერვუარებიდან

საწარმოს საავტომობილო ნახმარი ზეთების მიღებისათვის გააჩნია ერთი 18 მ³-ის, მიწისზედა ვერტიკალური რეზერვუარი.

ნავთობპროდუქტების კატეგორია, რომელიც მიიღება რეზერვუარებში, განეკუთვნება “A” კლასს, ე.ი. მასში განთავსებული ნავთობპროდუქტების ტემპერატურა არ განსხვავდება ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურისაგან 30 °C-ზე მეტად. რეზერვუარებში ჩასასხმელი ნავთობპროდუქტების რაოდენობა წლის პერიოდის მიხედვით მოცემულია ცხრილ 5.2-ში, ხოლო ცხრილ 5.1-ში მოცემულია გაფრქვევების გამოსათვლელად საჭირო მონაცემები. ტუმბოს წარმადობა უდრის 16 მ³/სთ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ფორმულებში (4.1 – 4.2)-ში ჩასმის შემდეგ გვექნება:

$$M=0.39 \times 1.00 \times 16 / 3600 = 0.00173 \text{ გ/წმ.}$$

$$G=(0.25 \times 21.6 + 0.25 \times 21.6) \times 1.00 \times 10^{-6} + 0.18 \times 0.00027 \times 1 = 0.000011 + 0.000049 = 0.00006 \text{ ტ/წელ.}$$

აქედან ბუნებრივი დანაკარგი (აორთქლება შენახვისას) ზეთის რეზერვუარიდან ტოლია 0.000049 ტ/წელ. მაშასადამე გაფრქვევის ინტენსივობა ტოლი იქნება:

$$M=0.000049 \times 10^6 / (3600 \times 8760) = 0.0000016 \text{ გ/წმ.}$$

მაშასადამე ჯამური გაფრქვევის ინტენსივობა ტოლი იქნება:

$$M=0.00173 + 0.0000016 = 0.0017316 \text{ გ/წმ.}$$

ბ). მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ანგარიში მეორად ზეთზე მომუშავე ცხელი წყლის

საქვაბებიდან (გაფრქვევის წყარო გ-2, გ-3)

საწარმოში ფუნქციონირებს ნამუშევარ ზეთებზე მომუშავე ცხელი წყლის საქვაბები (ორი ცალი), რომლებიც შესაძლებელია ზამთრის სეზონში ორივე ერთდროულად მუშაობდნენ.

აღნიშნულ დანადგარში სითბოს წყაროდ გამოიყენება ნახმარი საავტომობილო ზეთები, რომლის ხარჯი თითოეულში დღეღამეში შეადგენს 120 ლლიტრს, ანუ 5 ლ/სთ-ში (4.5 კგ/სთ). აღნიშნული დანადგარების მაქსიმალური მუშაობის ხანგრძლივობა წელიწადში არ აღემატებ 180 დღეს, ანუ 4320 საათს. წლიური მეორადი საავტომობილო ზეთის გამოყენების რაოდენობა თითოეულ დანადგარში ტოლი იქნება 21.6 მ³/სთ-ს, ანუ 19.44 ტონა.

ყოველ 1 მ³ ნამუშევარი ზეთის წვისას გამოიყოფა: 7.68 % ჭვარტლი საწვავში ნაცრის მასიური წილისა, 2.28 კგ აზოტის დიოქსიდი, 0.6 კგ ნახშირჟანგი, 17.64 % გოგირდის ორჟანგი საწვავში გოგირდის მასიური წილისა, 7.92 კგ ქლორწყალბადი, 6.6 % ტყვია საწვავში ტყვიის მასიური წილისა, 0.001116 კგ კადმიუმი, 0.0132 კგ დარიშხანი, 0.0024 კგ ქრომი, 0.00132 კგ ნიკელი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ 1მ³ ზეთი = 0.9ტონა, ანუ 1ტონა=1,111მ³ და ნამუშევარ ზეთში ნაცრის მაქსიმალური შემცველობა ტოლია 0.4 %-ის, ტყვიის შემცველობა 25 ppm, ხოლო გოგირდის მაქსიმალური შემცველობა 1 %, მაშინ ხვედრითი გაფრქვევის შესაბამისი მნიშვნელობები მოცემულია ცხრილ 5.3-ში.

ცხრილი 5.3.

მავნე ნივთიერების დასახელება	ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი (კგ/მ ³ გამოყენებულ ზეთზე)	ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი (კგ/ტ გამოყენებულ ზეთზე)
	მცირე სიმძლავრის საქვაბები	მცირე სიმძლავრის საქვაბები
მყარინაწილაკები, PM	7,68*0,4=3,072	2.7648
აზოტისოქსიდები, NOx	2,28	2.052
ნახშირბადისოქსიდი, CO	0,6	0.54
გოგირდის ოქსიდები, SOx	17,64* 1= 17,64	15.876
ქლორწყალბადი, HCl	7,92	7.128
ტყვია, Pb	6,6* 0,0025= 0,0165	0.01485
კადმიუმი, Cd	0,001116	0.001004
დარიშხანი, As	0,0132	0.01188
ქრომი, Cr	0,0024	0.00216
ნიკელი, Ni	0,00132	0.001188

თუ გავითვალისწინებთ ცხრილ 5.3-ში მოცემულ მაჩვენებლებს, მაშინ წლიური გაფრქვევები

თითოეული საქვებიდან ტოლი იქნება:

$$G_{\text{ჰვარტლი}} = 19.440 \times 2.7648 / 1000 = 0.0537 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{\text{NO}_2} = 19.440 \times 2.052 / 1000 = 0.0399 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{\text{CO}} = 19.440 \times 0.54 / 1000 = 0.0105 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{\text{SO}_2} = 19.440 \times 15.876 / 1000 = 0.3086 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{\text{HCl}} = 19.440 \times 7.128 / 1000 = 0.1386 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{\text{Pb}} = 19.440 \times 0.01485 / 1000 = 0.00029 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{\text{Cd}} = 19.440 \times 0.001004 / 1000 = 0.00002 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{\text{As}} = 19.440 \times 0.01188 / 1000 = 0.00023 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{\text{Cr}} = 19.440 \times 0.00216 / 1000 = 0.00004 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{\text{Ni}} = 19.440 \times 0.001188 / 1000 = 0.000023 \text{ ტ/წელი};$$

ხოლო წამური გაფრქვევები ტოლი იქნება:

$$M_{\text{ჰვარტლი}} = 0.0537 \times 10^6 / (4320 \times 3600) = 0.003456 \text{ გ/წმ};$$

$$M_{\text{NO}_2} = 0.0399 \times 10^6 / (4320 \times 3600) = 0.002565 \text{ გ/წმ};$$

$$M_{\text{CO}} = 0.0105 \times 10^6 / (4320 \times 3600) = 0.00068 \text{ გ/წმ};$$

$$M_{\text{SO}_2} = 0.3086 \times 10^6 / (4320 \times 3600) = 0.019845 \text{ გ/წმ};$$

$$M_{\text{HCl}} = 0.1386 \times 10^6 / (4320 \times 3600) = 0.00891 \text{ გ/წმ};$$

$$M_{\text{Pb}} = 0.00029 \times 10^6 / (4320 \times 3600) = 0.0000186 \text{ გ/წმ};$$

$$M_{\text{Cd}} = 0.00002 \times 10^6 / (4320 \times 3600) = 0.0000013 \text{ გ/წმ};$$

$$M_{\text{As}} = 0.00023 \times 10^6 / (4320 \times 3600) = 0.000015 \text{ გ/წმ};$$

$$M_{\text{Cr}} = 0.00004 \times 10^6 / (4320 \times 3600) = 0.0000027 \text{ გ/წმ};$$

$$M_{\text{Ni}} = 0.000023 \times 10^6 / (4320 \times 3600) = 0.0000015 \text{ გ/წმ};$$

თითოეული საქვების გაფრქვევის მილის სიმაღლე ტოია 8 მეტრის, დიამეტრი 0.45 მ.

გ). გაფრქვევები ავტომობილების ლაქ-საღებავებით შეღებვისა და შრობის ბოქსის გამწოვი მილიდან - გ-4 გაფრქვევის წყარო:

ავტომობილების ლაქსაღებავი მასალებით დაფარვა, რომლის დროსაც ატმოსფეროში გამოიყოფა აღნიშნული საღებავების აქროლადი ნაწილი, ძირითადად აეროზოლის სახით. გამოყოფის რაოდენობა და სახეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ნივთიერებებისაგან შედგება ლაქსაღებავი მასალები. ლაქსაღებავი მასალიდან ორთქლის გამოყოფა (%) დამოკიდებულია შეღებვის მეთოდზე (პნევმატური, ხელით და სხვა) და ტექნოლოგიურ პროცესზე (შეღებვა, შრობა). საწარმოში შეღებვა და მასთან დაკავშირებული პროცესები მოხდება შეღებვის აპარატით, ამიტომ შეღებვისას ატმოსფეროში გამოიფრქვევა ლაქსაღებავი მასალების 30 %, ხოლო შრობისას 70 %.

მანქანების შეღებვისას დღეში მოსალოდნელია:

- საღებავი - 6 კგ/დღ=0.75 კგ/სთ;

- გამხსნელი 1.9 კგ/დღ=0.2375 კგ/სთ;

სამუშაო დროის ოდენობა ამ სამუშაოებისათვის შეადგენს 2080 საათს წელიწადში.

ლაქსაღებავებისა და გამხსნელების აქროლადი ნაწილის ატმოსფეროში გაფრქვევის რაოდენობა, თითოეული კომპონენტისა (M_3) და მთლიანად მთელი პროცესისათვის ($M_{საერთო}$) იანგარიშება ფორმულით:

$$M_{საერთო}=B \times K/100 \text{ კგ/სთ} \quad (5.3)$$

$$M_3=B \times K_3/100 \times 0.8 \text{ კგ/სთ} \quad (5.4)$$

სადაც:

B – არის მასალების ხარჯი, კგ/სთ;;

K_3 – გახარჯული მასალების თითოეული კომპონენტის აქროლადი ნაწილის შემცველობა წონით პროცენტებში;

0.8 – კოეფიციენტი, რომელიც უჩვენებს საღებავი მასალების და გამხსნელების აქროლადი ნაწილის რა რაოდენობა გამოიყოფა ატმოსფეროში;

ცხრილ 5.4-ში მოცემულია საღებავებისა და გამხსნელების კომპონენტური შემადგენლობა წონით პროცენტებში.

ცხრილი 5.4

•	ნივთიერების დასახელება	საღებავები	გამხსნელები	სულ
1	2	3	6	7
1	ქსილოლი	$0.75 \times 0.2 \times 0.8 = 0.12$	$0.2375 \times 0.4 \times 0.8 = 0.076$	0.196
2	ეთილის სპირტი	-	$0.2375 \times 0.4 \times 0.8 = 0.076$	0.076
3	ეთილაცეტატი	$0.75 \times 0.2 \times 0.8 = 0.12$	$0.2375 \times 0.2 \times 0.8 = 0.038$	0.158
4	უაიტ-სპირიტი	$0.75 \times 0.4 \times 0.8 = 0.24$	-	0.24
	სულ:	0.48	0.19	0.67

ცხრილ 5.5-ში მოცემულია შეღებვისას ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებების რაოდენობები და გაფრქვევის ინტენსივობები გ/წმ და ტ/წელ. გაწმენდის გარეშე.

ცხრილი 5.5

•	ნივთიერების დასახელება	გაფრქვევის სიმძლავრეები			შენიშვნა
		კგ/სთ	გ/წმ	ტ/წელ	
1	2	3	4	5	6

1	ქსილოლი	0.196	0.05444	0.408	
2	ეთილის სპირტი	0.076	0.02111	0.158	
3	ეთილაცეტატი	0.158	0.04389	0.329	
4	უაიტ-სპირიტი	0.24	0.06667	0.499	

ხოლო აღნიშნული აიროზოლების ფილტრში გავლის შემდეგ, რომლის დაჭერის ეფექტურობა ტოლია არანაკლებ 98 %-ის, შეღებვისას ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებების რაოდენობები და გაფრქვევების ინტენსივობები გ/წმ და ტ/წელ. გაწმენდის შემდეგ მოცემულია ცხრილ 5.6-ში.

ცხრილი 5.6

°	ნივთიერების დასახელება	გაფრქვევის სიმძლავრეები			შენიშვნა
		კგ/სთ	გ/წმ	ტ/წელ	
1	2	3	4	5	6
1	ქსილოლი	0.00392	0.00109	0.0082	
2	ეთილის სპირტი	0.00152	0.00042	0.0032	
3	ეთილაცეტატი	0.00316	0.00088	0.0066	
4	უაიტ-სპირიტი	0.0048	0.0013	0.010	

სამღებრო კამერის გამწოვი ვენტილაციის აირების გაფრქვევის მილის სიმაღლეა მიწისპირიდან 8 მეტრი და დიამეტრი 0.8 მ. მოცულობითი სიჩქარე 2.222 მ³/წმ, ხაზობრივი სიჩქარით 4.42 მ/წმ.

6. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება

ფორმა №1. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება

წარმოების, საამქროს, უბნის დასახელება	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს			მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს					ნავნე ნივთიერებათა		გამოყოფის წყაროდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, ტ/წელი
	ნომერი	დასახელება	რაოდენობა	ნომერი	დასახელება	რაოდენობა	მუშაობის დრო დღე-ღამეში	მუშაობის დრო წელიწად.	დასახელება	კოდი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
